დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო
ფონდი "ლაზარეს" საგამომცემლო ცენტრში

თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1

ტიარჟი 100

4
ξ-331

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

იზაბელა ოთარის ასული პეტრიაშვილი

ავტორისეული წიაღსვლების ზოგიერთი პრაგმატული თავისებურება

(ინგლისური რომანის მასალაზე)

10.02.04 – რომანულ-გერმანიკული
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2003

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **რუსუდან ენუქიძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ვახტანგ ლებანიძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04.)

შორენა კობახიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წლის 16 აპრილს 12.30 საათზე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
P10.01 №7 საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 380028, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 1, თსუ I კორპ.
აუდიტორია 93

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, თბილისი, უნივერსიტეტის № 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა "12" 03 2003წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. წიბახაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება მხატვრული ტექსტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ლინგვისტური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ერთეულის – *ავტორისეული წიაღსვლის* – პრაგმატული თავისებურებების ანალიზს.

ნაშრომის თემის <u>აქტუალურობა</u> განისაზღვრება იმით, რომ ავტორისეული წიაღსვლა განხილულია პრაგმატული კვლევის ჭრილში, რაც განპირობებულია იმით, რომ რამდენადაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდანაა ცნობილი, წიაღსვლები შესწავლილია მათი სინტაქსურ-სემანტიკური და ლინგვოსტილისტიკური თვალსაზრისით, ხოლო პრაგმატული კუთხით ისინი აქამდე არ ყოფილა შესწავლილი.

ნაშრომის <u>სიახლე</u> მდგომარეობს იმაში, რომ მასში პირველადაა წარმოდგენილი ავტორისეული წიაღსვლების როგორც ავტორის მეტყველების ერთ-ერთი ფორმის, მხატვრული ტექსტის ერთ-ერთი კომპოზიციურ-სტრუქტურული ელემენტის, ტიპოლოგიური კლასიფიკაცია. გარდა ამისა, ავტორისეული წიაღსვლა განხილულია პრაგმატული, კერძოდ, მიკროპრაგმატული ასპექტების – დეიქსისის, რეფერენციის, იმპლიკაციის და სამეტყველო აქტების რეალიზაციის თვალსაზრისით და პირველადაა წარმოდგენილი სამეტყველო აქტების ზეპირი მეტყველების სფეროდან წერილობითი ტექსტის კვლევის სფეროში გადატანის მცდელობა ავტორისეული მეტყველების კომპლექსურ ანალიზზე დაყრდნობით.

ნაშრომის <u>მიზანია</u> ავტორისეული წიაღსვლა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც მხატვრული ტექსტის ერთ-ერთი კომპოზიციურ-სამეტყველო ელემენტი, არამედ როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა, დიალოგი ავტორსა და მკითხველს შორის, რითაც ის ექცევა პრაგმატული კვლევის ჩარჩოში; დავადგინოთ მისი პრაგმალინგვისტური მახასიათებლები. გარდა ამისა, კვლევის მიზანია წარმოვაჩინოთ ავტორისეული წიაღსვლების მრავალსახეობა და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია.

კვლევის საერთო მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში გადაჭრილია შემდეგი <u>კონკრეტული ამოცანები</u>:

1. მოცემულია ავტორისეული წიაღსვლების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, სემანტიკურ-თემატური კლასიფიკაცია და კლასიფიკაცია მიმართვის რეალიზაციის მიხედვით.
2. გამოვლენილია პრაგმატული, კერძოდ, მიკროპრაგმატული ასპექტების – დეიქსისის, რეფერენციის, იმპლიკაციისა და სამეტყველო აქტების რეალიზაციის კონკრეტული მაგალითები ავტორისეულ წიაღსვლებში და მოცემულია მათი ლინგვისტური ანალიზი.
3. დადგენილია ის საერთო პრაგმალინგვისტური მახასიათებლები, რომლებიც ნიშანდობლივია მეტყველების როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმებისთვის.

<u>საკვლევ მასალას</u> შეადგენს სამი ინგლისელი მწერლის რომანებიდან – ჰენრი ფილდინგის "ტომ ჯონსის – ნაპოვარას ამბავი", უილიამ თეკერეის "ამაოების ბაზარი" და სომერსეტ მოემის "მთვარე და ექვსპენსიანი" – ამოკრებილი 198 წიაღსვლა. მასალის შერჩევისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული იყო